

საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და
იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს
სასჯელაღსრულების დეპარტამენტი



სატენდერო დოკუმენტაცია

სანიტარულ-ჰიგიენური საშუალებების შესყიდვაზე
გამარტივებული ელექტრონული ტენდერის საშუალებით

წინამდებარე სატენდერო დოკუმენტაცია შედგენილია „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის 12¹ მუხლის, „სახელმწიფო შესყიდვის ელექტრონული საშუალებით განხორციელების შესახებ დროებითი წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2010 წლის 22 ოქტომბრის N9 ბრძანების საფუძველზე.

თბილისი 2012 წელი

სარჩევი

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის
2. ტექნიკური დოკუმენტაცია
3. სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი
4. დამატებითი ინფორმაცია
5. დანართი №1, აფიდავიტის საილუსტრაციო ფორმა
6. დანართი №2

1. ინსტრუქცია ტენდერში მონაწილეთათვის

1.1. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში – სისტემა) შესყიდვის პროცედურები ხორციელდება საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის #9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მოთხოვნათა შესაბამისად

1.2. სატენდერო წინადადების წარდგენისათვის უნდა იყოს დარეგისტრირებული სისტემაში მიმწოდებლის სტატუსით. შემდეგ ვალდებული ხართ გაეცნოთ აფიდავიტს და დაეთანხმოთ მას (გაცნობას და თანხმობას ადასტურებთ სისტემის მეშვეობით). აფიდავიტის საილუსტრაციო ფორმა იხილეთ დანართში.

1.3. ამის შემდეგ, მიმწოდებელი ვალდებულია ჯერ წარმოადგინოს სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის ელექტრონული გარანტია, ხოლო შემდეგ გადაიხადოს ტენდერში მონაწილეობის საფასური.

1.4. სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის ელექტრონული გარანტია უნდა იქნას წარმოდგენილი სატენდერო განცხადებაში მითითებული სავარაუდო ღირებულების 1%-ის ოდენობით. ტენდერში მონაწილეობის საფასური შეადგენს 50 ლარს.

1.5. ელექტრონული გარანტიის წარდგენისა და საფასურის გადახდის სისტემაში არსებული ავტომატური საშუალებების გაუმართაობის შემთხვევაში, ყოველ კონკრეტულ ტენდერში, ელექტრონული გარანტიის წარდგენა და საფასურის გადახდა შესაძლებელია განხორციელდეს სააგენტოსთან შეთანხმებით, ტექნიკური დოკუმენტაციის სისტემაში ატვირთვამდე სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესის შესახებ დებულებით გათვალისწინებული პროცედურების გამოყენებით. აღნიშნული ქმედებების განხორციელების გარეშე თქვენ არ გექნებათ სატენდერო წინადადების წარდგენისა და შესაბამისად ტენდერში მონაწილეობის შესაძლებლობა.

1.6. მას შემდეგ, რაც ზემოაღნიშნულ ქმედებებს განხორციელებთ, თქვენ უფლება გაქვთ სისტემის მეშვეობით წარადგინოთ სატენდერო წინადადება.

1.7. სატენდერო წინადადება შედგება სატენდერო წინადადების ფასისგან და ტექნიკური დოკუმენტაციისაგან.

1.8. ტექნიკური დოკუმენტაცია არის პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული შესყიდვის ობიექტისა და პრეტენდენტის შესახებ ნებისმიერი სახის ინფორმაცია, რომელიც მოთხოვნილია სატენდერო განცხადებითა და სატენდერო დოკუმენტაციით, გარდა ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტებისა.

1.9. ტექნიკური დოკუმენტაციის ატვირთვის შემდეგ, თქვენ გაქვთ შესაძლებლობა მიუთითოთ თქვენი სატენდერო წინადადების ფასი კანონმდებლობით გათვალისწინებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით.

1.10. სატენდერო წინადადების ფასის მითითებისთანავე თქვენ უფლება გაქვთ მიიღოთ მონაწილეობა ელექტრონულ ვაჭრობაში, რომელიც იყოფა ძირითად დროდ და დამატებით 3 რაუნდათ.

1.11. ძირითად დროში უფლება გაქვთ ცვალოთ თქვენი ფასი, კლებადობის პრინციპის გათვალისწინებითა და შემსყიდველის მიერ განსაზღვრული ბიჯზე არანაკლები ოდენობით.

1.12. ბიჯი არის სატენდერო წინადადების ფასის კლების წინასწარ განსაზღვრული მინიმალური ოდენობა, რომელიც მითითებულია სატენდერო განცხადების შესაბამის ველში.

1.13. დამატებითი რაუნდების თითოეულ რაუნდში პრეტენდენტს უფლება აქვს მხოლოდ ერთხელ შეამციროს წინადადების ფასი, რისთვისაც განესაზღვრება ორი წუთი. დამატებით რაუნდში მონაწილეობა სავალდებულო არ არის და პრეტენდენტს უფლება აქვს რაუნდში მონაწილეობა არ მიიღოს და შესაბამისად ძალაში დარჩება მის მიერ ბოლოს დაფიქსირებული ფასი. რაუნდებში მონაწილეობის მიღება გულისხმობს ზემოთ აღნიშნული პრინციპით ფასის შემცირებას ან მის იგივე ოდენობით დატოვებას.

1.14. დამატებით რაუნდებში მონაწილეობის უფლება აქვთ მხოლოდ იმ პრეტენდენტებს, რომლებმაც ძირითად დროში წარმოადგინეს წინადადება დადგენილი წესით. პირველ რაუნდში პრეტენდენტის მიერ წინადადების ფასის წარმოდგენის რიგითობა განისაზღვრება ძირითად დროში წარმოდგენილი წინადადების ფასის მიხედვით, კერძოდ, პირველ რაუნდში ბოლო შეთავაზებას აკეთებს ის პრეტენდენტი, რომელმაც ძირითად დროში ყველაზე დაბალი ფასი დააფიქსირა, ხოლო ყოველ მომდევნო რაუნდში – კი ის პრეტენდენტი, რომელმაც წინა რაუნდში ყველაზე დაბალი ფასი დააფიქსირა. წინადადების თანაბარი ფასების დაფიქსირების შემთხვევაში, რაუნდში ბოლო შეთავაზებას აკეთებს ის პრეტენდენტი, რომელმაც პირველმა დააფიქსირა ასეთი ფასი.

1.15. მას შემდეგ, რაც დასრულდება დამატებითი რაუნდები, სისტემა პრეტენდენტებს აჯგუფებს სატენდერო წინადადებების ფასის მიხედვით. ამის შემდეგ შემსყიდველი ორგანიზაციის მიერ მოწმდება ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის ტექნიკური დოკუმენტაცია.

1.16. იმ შემთხვევაში თუ ორი ან მეტი პრეტენდენტის მიერ სისტემაში მითითებულია თანაბარი ფასი, სისტემა ავტომატურად ანიჭებს უპირატესობას იმ პრეტენდენტს, რომელმაც პირველმა მიუთითა სატენდერო წინადადების აღნიშნული ფასი.

1.17. თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი ტექნიკური დოკუმენტაცია არ შეესაბამება სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს, შემსყიდველი მას განუსაზღვრავს 3 დღეს ტექნიკური დოკუმენტაციის დაზუსტებისათვის. დაუშვებელია ტექნიკური დოკუმენტაციის ისეთი დაზუსტება, რომელიც გამოიწვევს სატენდერო წინადადების არსებით ცვლილებას და მოახდენს გავლენას წინადადების ფასზე.

1.18. თუ პრეტენდენტის სატენდერო წინადადება შეესაბამება სატენდერო განცხადებისა და სატენდერო დოკუმენტაციის მოთხოვნებს, შემსყიდველი ორგანიზაცია მიმართავს მას ადმინისტრაციული ორგანოების მიერ გასაცემი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარმოდგენის მოთხოვნით.

1.19. იმ შემთხვევაში თუ ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტმა წარმატებით გაიარა ყველა ზემოთ მოყვანილი ეტაპი (არ იქნა დისკვალიფიცირებული), ამ პრეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტების წარდგენიდან არაუგვიანეს 5 სამუშაო დღისა, შემსყიდველი დებს მასთან სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულებას.

1.20. პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია ხდება სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის #9 ბრძანებით დამტკიცებული ``გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის`` მე-13 მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში

1.21. ამ პუნქტის 1.20. ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევებში, შემსყიდველ ორგანიზაციას უფლება აქვს მიმართოს ყველაზე დაბალი ფასის მქონე მომდევნო პრეტენდენტს, თუ ამ პრეტენდენტის მიერ სისტემაში ატვირთული დოკუმენტაცია შეესაბამება სატენდერო განცხადებასა და სატენდერო დოკუმენტაციაში მოცემულ მოთხოვნებს.

1.22. ტენდერის შეწყვეტა:

ა) სატენდერო კომისიას უფლება აქვს შეწყვიტოს ტენდერი, თუ ყველაზე დაბალი ფასისმქონე პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის შემდეგ, თუ მომდევნო ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტის წინადადების ფასი ბაზარზე შეცვლილი გარემოებების შედეგად, მნიშვნელოვნად აღემატება დისკვალიფიცირებული პრეტენდენტის მიერ შემოთავაზებულ ფასს ან/და ამ შესყიდვის ობიექტის საბაზრო ღირებულებას;

ბ) სატენდერო კომისიას უფლება აქვს გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის შემთხვევებში ხელშეკრულების დადებამდე ნებისმიერ დროს შეწყვიტოს შესყიდვის პროცედურა, თუ ეს აუცილებელი გახდება მისგან დამოუკიდებელი და წინასწარ გაუთვალისწინებელი ობიექტური მიზეზებით, აგრეთვე საქართველოს სახელმწიფო ან/და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე;

გ) შესყიდვის პროცედურების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის, პრეტენდენტს წარუდგინოს კონკრეტული მტკიცებულება ან დეტალური ინფორმაცია, რომლის საფუძველზედაც მიიღო ეს გადაწყვეტილება. შესყიდვის პროცედურების შეჩერებისას ან შეწყვეტისას შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებული არ არის აანაზღაუროს შესყიდვაში მონაწილეობასთან დაკავშირებული ხარჯები.

1.23. ელექტრონულ ტენდერთან და გამარტივებული ელექტრონულ ტენდერთან დაკავშირებული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია წარმოდგენილი უნდა იქნეს ქართულ ენაზე. დოკუმენტების ან/და ინფორმაციის უცხოურ ენაზე წარმოდგენის შემთხვევაში მათ უნდა დაერთოს ნოტარიალურად დამოწმებული ქართული თარგმანი.

1.24. დავის შემთხვევაში უცხოენოვან დოკუმენტსა და მის ქართულ ენაზე შესრულებულ თარგმანს შორის, პრიორიტეტის მინიჭების საკითხს წყვეტს სატენდერო კომისია.

1.25. სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში (შემდგომში–სისტემა) ატვირთული ყველა დოკუმენტი ან/და ინფორმაცია ხელმოწერილი ან/და ბეჭედდასმული უნდა იყოს უფლებამოსილი პირის მიერ.

1.26. ხელშეკრულების ფორმა და პირობები მოცემულია სატენდერო დოკუმენტაციაში, რომელიც ხელშეკრულების დადების მომენტისათვის დაზუსტდება სატენდერო წინადადების შესაბამისად.

1.27. პრეტენდენტს არა აქვს უფლება წარმოადგინოს ალტერნატიული სატენდერო წინადადება.

2. ტექნიკური დოკუმენტაცია

2.1. საკვალიფიკაციო მოთხოვნები:

საკვალიფიკაციო მოთხოვნების თანახმად, პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს შემდეგი დოკუმენტები:

2.1.1. იურიდიული პირებისათვის:

- ა) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან.
- ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან საქართველოს ბიუჯეტთან ანგარიშსწორების შესახებ.

2.1.2. ფიზიკური პირებისათვის:

- ა) ამონაწერი მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირთა რეესტრიდან.
- ბ) ცნობა საგადასახადო ინსპექციიდან გადასახადის გადამხდელად რეგისტრაციის შესახებ;
- გ) პირადობის მოწმობის ან პასპორტის ასლი.

2.1.3. როგორც იურიდიული ასევე ფიზიკური პირებისათვის:

- ა) პრეტენდენტმა უნდა წარმოადგინოს რეკვიზიტები (დასახელება, მისამართი, ტელეფონი/ფაქსი, ელექტრონული მისამართი, საბანკო რეკვიზიტები, ხელმძღვანელი პირის სახელი, გვარი) დანართი №2-ის მიხედვით.
- ბ) ინფორმაცია საქონლის მიწოდების ვადების შესახებ;
- გ) შემოთავაზებული მოსაწოდებელი საქონლის ტექნიკური აღწერილობა.

2.2. პრეტენდენტის მიერ წარმოსადგენი ამ პუნქტის 2.1.3 ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნები ელექტრონულ სისტემაში უნდა აიტვირთოს ტექნიკურ დოკუმენტაციასთან ერთად. პრეტენდენტის მიერ 2.1.3 ქვეპუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების წარმოდგენლობის ან/და ხარვეზის მქონე მონაცემების წარმოდგენის შემთხვევაში, სატენდერო კომისიას უფლება აქვს მოახდინოს ამ პრეტენდენტის დისკვალიფიკაცია, ან მოითხოვოს მონაცემების დაზუსტება.

2.3. ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები გაცემულ უნდა იყოს:

- ა) გამარტივებული ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში – „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „კ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ეტაპის დაწყების შემდეგ;
- ბ) ელექტრონული ტენდერის შემთხვევაში – „გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის №9 ბრძანების მე-2 მუხლის პირველი პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული ეტაპის დაწყების შემდეგ.

2.4. ამ პუნქტის 2.1.1 და 2.1.2 ქვეპუნქტით გათვალისწინებული, ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, დედანის სახით ან ნოტარიულად დამოწმებული ასლები, წარმოდგენილი უნდა იქნეს შემსყიდველ ორგანიზაციაში მოთხოვნიდან არა უმეტეს 5 (ხუთი) სამუშაო დღეში. არარეზიდენტმა პრეტენდენტ(ებ)მა უნდა წარმოადგინონ თავიანთი ქვეყნის შესაბამისი უფლებამოსილი ორგანოების მიერ გაცემული საკვალიფიკაციო მონაცემების დამადასტურებელი დოკუმენტები, რომლებსაც თან უნდა დაერთოს ნოტარიულად დამოწმებული თარგმანი ქართულ ენაზე.

2.5. პრეტენდენტის მიერ ადმინისტრაციული ორგანოებიდან წარმოსადგენი საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოდგენა შემსყიდველ ორგანიზაციაში ხორციელდება სისტემის გამოყენების გარეშე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ფორმით, მისამართზე: ქ. თბილისი, ვ. გორგასლის ქ. №83ა. პრეტენდენტის მიერ საკვალიფიკაციო მონაცემების წარმოუდგენლობის ან/და ხარვეზის მქონე მონაცემების წარმოდგენის შემთხვევაში, სატენდერო კომისია მოახდენს ამ პრეტენდენტის დისკვალიფიკაციას.

2.6. ანგარიშსწორების პირობები:

2.6.1. სატენდერო წინადადების საერთო ფასი გამოსახული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებული ყველა გადასახადის გათვალისწინებით,

2.6.2. ანგარიშსწორება მოხდება უნაღლო ანგარიშსწორებით ლარში.

2.6.3 ანგარიშსწორება მოხდება ფაქტიურად გაწეული მომსახურების შესაბამისად, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 20 სამუშაო დღის განმავლობაში.

2.6.3. წინასწარი ანგარიშსწორება (ავანსი) არ გამოიყენება.

2.7. ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია:

2.7.1. ტენდერში ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტია გამოყენებული არ იქნება.

2.8. შესყიდვის ობიექტის ტექნიკური დავალება :

2.8.1. მიმწოდებელმა უნდა უზრუნველყოს შემდეგი დასახელების სანიტარულ-ჰიგიენური საშუალებების მიწოდება:

№	შესყიდვის ობიექტი	შესყიდვის ობიექტის აღწერილობა	განზომილების ერთეული	რაოდ.	ერთეულის ფასი	სულ
1	დაკეცვის ხელსახოცი	მაღალი ხარისხის, მშრალი ევექტით, სამი (Z-სებრი) დანაკეცით, ორფენიანი, შეკვრაში არანაკლებ 250 ცალი, ზომა დაკეცილ მდგომარეობაში არანაკლებ 23X7	შეკვრა	2 000		
2	ტუალეტის ქაღალდი	100%-იანი ცელულოზა, ფენა: 2, ფერი: თეთრი, რულონის სიგანე: 10 სმ, რულონის სიგრძე არანაკლებ 22 მ, დიამეტრი: 11 სმ; შიდა დიამეტრი: 5 სმ; 1 ცალის წონა არანაკლებ 95 გრ.	ცალი	1 500		
3	თხევადი საპონი	ნატურალური მასალისაგან დამზადებული, ანტიბაქტერიული 5 ლიტრიანი დაფასოებით; სხვადასხვა ხილისა და მცენარეული სურნელით	ცალი	15		
სულ ჯამი:						

2.9. საქონლის მიწოდების ადგილი და გრაფიკი:

2.9.1 შესყიდვის ობიექტების მიწოდების ადგილია სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ცენტრალური საწყობი, ქ. თბილისი, პოლიციის ქ. №10.

2.9.2. საქონლის მიწოდება უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 20 კალენდარული დღისა.

2.9.3 ყველაზე დაბალი ფასის მქონე პრეტენდენტმა შემსყიდველის მოთხოვნიდან არაუმეტეს 3 (სამი) სამუშაო დღეში უნდა წარმოადგინოს მოსაწოდებელი საქონლის ნიმუშები შემსყიდველ ორგანიზაციაში შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №83ა.

(შენიშვნა: პრეტენდენტის გამარჯვების შემთხვევაში სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ცენტრალურ საწყობში შეტანილი საქონელი სრულად უნდა შეესაბამებოდეს (იდენტური უნდა იყოს) ტენდერზე წარმოდგენილ ნიმუშებს).

3. ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №

ქ. თბილისი

_____ 2012 წ.

წინამდებარე დოკუმენტი წარმოადგენს სახელმწიფო შესყიდვების შესახებ ხელშეკრულების პროექტს, რომელიც დაიდება ელექტრონული ტენდერის ჩატარების შედეგად ტენდერში გამარჯვებულთან. წინამდებარე ხელშეკრულების პროექტის პირობების დაზუსტება განხორციელდება გამარჯვებული პრეტენდენტის წინადადების შესაბამისად, რომელიც ამავდროულად თანდართული ექნება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

ხელშეკრულების დამდები მხარეები

ერთის მხრივ საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის დავით ჭაკუას სახით (შემდგომში „შემსყიდველი“) იურიდიული მისამართი ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №83ა

(ორგანიზაციის დასახელება და იურიდიული მისამართი)

და მეორე მხრივ _____ მისი _____ სახით, იურიდიული მისამართი _____ (შემდგომში მიმწოდებელი)

(ორგანიზაციის დასახელება და იურიდიული მისამართი)

2. ხელშეკრულების ობიექტის დასახელება

2.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას მიაწოდოს შემსყიდველს: _____

2.2 ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოსაწოდებელი საქონლის აღწერა მოცემულია ტექნიკურ დავალებასა და ტექნიკურ დოკუმენტაციაში, რომელიც დაერთვება ხელშეკრულებას, როგორც მისი განუყოფელი ნაწილი.

3. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება

3.1 ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს: ----- (სიტყვიერად) ლარს.

3.2. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება უნდა შეიცავდეს მიმწოდებლის მიერ საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ ყველა გადასახადს.

4. ანგარიშსწორების ფორმა და ვადები

4.1 უნაღდო. ანგარიშსწორების ფორმა სტანდარტული.

4.2 შემსყიდველი იღებს ვალდებულებას აუნაზღაუროს მიმწოდებელს საქონლის ღირებულება შემოტანიდან კანონმდებლობის შესაბამისად ანაზღაურების საჭირო დოკუმენტაციის წარმოდგენიდან 20 კალენდარულ დღეში.

5. მიღება ჩაბარების წესი

5.1 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ვადა უნდა განხორციელდეს ხელშეკრულების გაფორმებიდან არაუგვიანეს 20 კალენდარული დღისა.

5.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ცენტრალური საწყობი, ქ. თბილისი, პოლიციის ქ. №10

5.3 შესყიდვის ობიექტი ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ სათანადო დოკუმენტაციის გაფორმების შემდეგ.

5.4 შესყიდვის ობიექტის მიღების და/ან საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრას საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოფს მიმწოდებელი.

5.5 შემსყიდველი ვალდებულია ოპერატიულად, წერილობითი სახით, აცნობოს მიმწოდებელს საბოლოო შემოწმების შედეგები დაწუნებული შესყიდვების ობიექტის წუნდების მიზეზების მითითებით.

6. შესყიდვის ობიექტის ხარისხი

6.1 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტი უნდა იყოს ხარისხიანი და შეესაბამებოდეს შემსყიდველის ორგანიზაციის მოთხოვნებს.

7. მხარეთა უფლება მოვალეობანი

7.1 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას განახორციელოს შესყიდვის ობიექტის მიწოდება 5.1 პუნქტში მითითებულ ვადებში.

7.2 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს შესყიდვის ობიექტის მოწოდება ტექნიკური დავალებითა და ტექნიკური დოკუმენტაციის შესაბამისად.

7.3 მიმწოდებელი იღებს ვალდებულებას შესყიდვის ობიექტის საბოლოო შემოწმების შედეგად გამოვლენილი დეფექტის ან ნაკლის შემთხვევაში საკუთარი ხარჯებით დაუყოვნებლივ აღმოფხვრას გამოვლენილი დეფექტი ან შეცვალოს ახლით.

7.4 ამასთან შემსყიდველი ორგანიზაცია ვალდებულია ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად და ჯეროვნად შესრულებისათვის მიმწოდებელს აუნაზღაუროს ხელშეკრულების 3.1 პუნქტში გათვალისწინებული თანხა.

8. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების დარღვევისათვის

8.1 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალისათვის მიმწოდებელი პასუხს აგებს შემსყიდველის წინაშე საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად;

8.2 შემსყიდველი უფლებამოსილია საქონლის მიწოდების ვადის გადაცილების შემთხვევაში დააკისროს მიმწოდებელს საურავი ყოველ ვადა გადაცილებულ დღეზე დროულად მიუწოდებელი საქონლის რაოდენობის ღირებულების ----- %-ის ოდენობით.

8.3 შემსყიდველი უფლებამოსილია, მიმწოდებლის მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრულად შეუსრულებლობის და/ან მოწოდების შემთხვევაში, მიმწოდებელს დააკისროს ჯარიმა მიუწოდებელი და/ან უხარისხო საქონლის ღირებულების ---%-ის ოდენობით.

9. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

9.1 შემსყიდველს ან წარმომადგენელს უფლება აქვთ განახორციელონ ტექნიკური კონტროლი და/ან გამოცადონ საქონელი, რათა დარწმუნდნენ მათ შესაბამისობაში ხელშეკრულებით გათვალისწინებულ ტექნიკურ პირობებთან.

9.2 მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა, წუნდებული საქონლის შეცვლა და კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად დაზიანებული საცდელი ნიმუშების ღირებულების დაფარვა.

9.3 ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების კონტროლს განახორციელებს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის უფლებამოსილი პირი.

10. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

10.1 არავითარი გადახრა ან ცვლილება ხელშეკრულების პირობებში არ დაიშვება ორივე მხარის მიერ ხელმოწერილი წერილობითი შესწორებების გარდა.

10.2 თუ რაიმე წინასწარ გათვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.

10.3 ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით დადგენილი შემთხვევებისა „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის და ამ დებულების მოთხოვნათა გათვალისწინებით.

10.4 ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

10.5 ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10.6 მხარეები იღებენ ვალდებულებას შეატყობინონ ერთმანეთს აღნიშნული ხელშეკრულების პირობების ცვლილებათა შესახებ არაუგვიანეს 10 დღისა.

11. ხელშეკრულების შესრულების გარანტია.

11.1 ხელშეკრულების უზრუნველყოფის გარანტია არ გამოიყენება.

12. დაუძლეველი ძალა

12.1 მხარეები თავისუფლდებიან ხელშეკრულებით განსაზღვრული ვალდებულებების შეუსრულებლობით გამოწვეული პასუხისმგებლობისაგან, თუ აღნიშნული გამოწვეულია დაუძლეველი ძალის ზეგავლენით. აღნიშნულის არსებობის შემთხვევაში, მხარე ვალდებულია აცნობოს მეორე მხარეს ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობის შესახებ.

12.2 თუ ერთ-ერთი მხარე დაუძლეველი ძალის გამო ვერ ასრულებს ნაკისრ ვალდებულებებს, იგი ვალდებულია დაუყონებლივ, მაგრამ არაუგვიანეს მომდევნო კალენდერული დღისა აცნობოს მეორე მხარეს მათი დადგომის ან/და დასრულების შესახებ. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაბამისის მხარე არ გათავისუფლდება ნაკისრი ვალდებულებებისაგან.

12.3 მხარეთა პასუხისმგებლობა და ვალდებულებები განახლება დაუძლეველი ძალის მოქმედების დასრულებისთანავე.

13. ხელშეკრულების შეწყვეტა

13.1 შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ, მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში.

13.2 შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის ურთიერთ შეთანხმების საფუძველზე, შემსყიდველს შეუძლია მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების სრული ან მისი ცალკეული პირობის მოქმედების შეწყვეტის შესახებ.

13.3 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსელია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილებას ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

13.4 შემსყიდველი ხელშეკრულების სრული ან ცალკეული შეწყვეტის გადაწყვეტილების მიღებისას ვალდებულია შეატყობინოს მიმწოდებელს მიღებული გადაწყვეტილება მისი მიღების საფუძველი და ამოქმედების თარიღი. აღნიშნული შეტყობინება უნდა მიეწოდოს მიმწოდებელს გადაწყვეტილების ძალაში შესვლამდე.

14. დავების გადაწყვეტის წესი

14.1 შემსყიდველმა და მიმწოდებელმა ყველა დონე უნდა იხმაროს, რათა პირდაპირი არაოფიციალური მოლაპარაკების პროცესში შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

14.2 თუ ასეთი მოლაპარაკების დაწყებიდან ოცდაათი დღის განმავლობაში შემსყიდველი და მიმწოდებელი ვერ შეძლებენ სადაო საკითხების შეთანხმებით მოგვარებას, ნებისმიერ მხარეს დავის გადაწყვეტის მიზნით შეუძლია დადგინდეს წესის და მიხედვით მიმართოს საქართველოს სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

14.3 თუ მიმწოდებელი არ არის საქართველოს რეზიდენტი, ხელშეკრულების განხორციელების პროცესში მხარეთა შორის წარმოქმნილი სადაო საკითხების განხილვა განხორციელდება საარბიტრაჟო გარჩევის გზით, საერთაშორისო სავაჭრო სამართლის შესახებ გაეროს საარბიტრაჟო კომისიის წესების შესაბამისად.

15. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

15.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეთა ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2011 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით. ყოველივე ზემოთთქმულის დასტურად მხარეებმა გააფორმეს წინამდებარე ხელშეკრულება, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

„შემსყიდველი „

„ მიმწოდებელი“

4. დამატებითი ინფორმაცია:

4.1. სატენდერო დოკუმენტაციასთან დაკავშირებული განმარტებების მიღება პრეტენდენტებს შეუძლიათ სატენდერო კომისიის აპარატში, მისამართზე: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. №83ა, მე-3 სართული. საკონტაქტო პირი: თამუნა ნასყიდაშვილი; ტელ: 275 23 83.

აფიდავიტი

სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე

მე, ქვემოთ ხელმომწერი, _____

(სახელი, გვარი, პ/ნ)

სახელით,

(პრეტენდენტის დასახელება, საიდენტიფიკაციო ნომერი)

წარვუდგენ რა სატენდერო წინადადებას საქართველოს სასჯელაღსრულების, პრობაციისა და იურიდიული დახმარების საკითხთა სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სატენდერო კომისიას

(შემსყიდველი ორგანიზაცია და სატენდერო კომისიის დასახელება)

მის მიერ _____

(ტენდერის გამოცხადების თარიღი და შესყიდვის ობიექტი)

შესყიდვის მიზნით გამოცხადებულ ტენდერში მონაწილეობის მისაღებად, ვადასტურებ, რომ ჩემს მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადება შემუშავებულია კონკურენტისგან დამოუკიდებლად. ასევე ვადასტურებ, რომ:

1. ჩემთვის ცნობილია, რომ სატენდერო წინადადება დისკვალიფიცირებულ იქნება, თუ აღმოჩნდა, რომ აფიდავიტში მოცემული ინფორმაცია არის ყალბი ან/და ცრუ;
2. უფლებამოსილი ვარ პრეტენენტის მიერ, ხელი მოვაწერო ამ აფიდავიტს და წარვადგინო ეს სატენდერო წინადადება;
3. ნებისმიერ პირი, რომლის ხელმოწერაც დაფიქსირებულია სატენდერო წინადადებაზე, შესაბამისად უფლებამოსილია პრეტენდენტის მიერ.
4. ჩემთვის ცნობილია რომ ტერმინი „კონკურენტი“ აფიდავიტის მიზნებიდან გამომდინარე, გულისხმობს ნებისმიერ პირს, რომელიც შესაძლებელია იყოს პრეტენდენტი ან/და წარადგინოს სატენდერო წინადადება ამ ტენდერში.
5. მატერიალური გამორჩენის ან უპირატესობის მიღების მიზნით პრეტენდენტსა და კონკურენტს შორის არ წარმოებულა კონსულტაცია, კომუნიკაცია, შეთანხმება ან მოლაპარაკება შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით:
 - ა) სატენდერო წინადადების ფასი;
 - ბ) სატენდერო წინადადების ფასის გამოთვლის მეთოდი, კოეფიციენტი ან ფორმულა;

გ) სატენდერო წინადადების წარდგენა ან წარდგენისგან თავის შეკავება;

დ) ისეთი სატენდერო წინადადების განზრახ წარდგენა, რომელიც არ აკმაყოფილებს გამოცხადებული ტენდერის პირობებს.

ე) შესყიდვის ობიექტის ხარისხი, მოცულობა, ტექნიკური პირობები ან მიწოდების დეტალები, რომელთაც ეხება სატენდერო წინადადება.

6. სატენდერო წინადადების პირობები პრეტენდენტს წინასწარი განზრახვით, პირდაპირ ან არაპირდაპირ, არ გაუმჟღავნებია ან/და არ გაუმჟღავნებს კონკურენტს სატენდერო წინადადების განსაჯაროების მომენტამდე.

გავეცანი ამ აფიდავიტის შინაარსს და ვადასტურებ წარმოდგენილი ინფორმაციის უტყუარობას.

(პრეტენდენტის რეკვიზიტები)

(პრეტენდენტის უფლებამოსილი წარმომადგენლის სახელი, გვარი და ხელმოწერა)

(თარიღი)

სახელმწიფო შესყიდვების მიზნებისთვის, აფიდავიტი წარმოადგენს სატენდერო წინადადების დამოუკიდებლად განსაზღვრის თაობაზე წერილობით დოკუმენტს, რომლის ხელმოწერი, პრეტენდენტის სახელით, ადასტურებს დოკუმენტში მითითებული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობას და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით პასუხს აგებს აღნიშნული ინფორმაციისა და გარემოებების უტყუარობაზე. აფიდავიტით განსაზღვრული პირობების დარღვევა იწვევს სისხლის-სამართლებრივ პასუხისმგებლობას საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 195¹ მუხლის შესაბამისად.

1. რეკვიზიტები:

პრეტენდენტის იურიდიული ფორმა და დასახელება:

ხელმძღვანელის სახელი და გვარი:

პრეტენდენტის იურიდიული ან/და ფაქტიური მისამართი:

საიდენტიფიკაციო კოდი:

პრეტენდენტის ტელეფონის ნომერი:

ელექტრონული მისამართი:

ბანკის კოდი:

ანგარიშსწორების ანგარიში:

ანგარიშის ნომერი: